საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №70
2025 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„წყალმომარაგების ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 29-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„წყალმომარაგების ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2010 წლის 17 აგვისტოს №17 დადგენილების (ვებგვერდი, 17.08.2010, სარეგისტრაციო კოდი: 300320000.16.009.015003):

ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მომხმარებლებისათვის, გარდა იმ მომხმარებლებისა, რომელთა წყალმომარაგებაც ხდება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ქალაქ გარდაბნის ადმინისტრაციულ საზღვრებსა და ლიცენზიით, ქალაქ რუსთავის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით განსაზღვრულ არეალში, მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით, განისაზღვროს წყალმომარაგების შემდეგი ზღვრული ტარიფები (ზედა ზღვარი):

ა) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – **0.424** ლარი/$მ^3$, მათ შორის:

ა.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – **0.321** ლარი/$მ^3$;

ა.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი **0.103** ლარი/$მ^3$;

ბ) გაუმრიცხველიანებელი საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – **3.828** ლარი/სულზე/თვეში, მათ შორის:

ბ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – **2.895** ლარი/სულზე/თვეში;

ბ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – **0.933** ლარი/სულზე/თვეში;

გ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი –**7.464** ლარი/$მ^3$, მათ შორის:

გ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – **5.713** ლარი/$მ^3$;

გ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – **1.751** ლარი/$მ^3$.“

ბ) პირველი მუხლის 2^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1) შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ იმ მომხმარებლებისათვის, რომელთა წყალმომარაგებაც

ხდება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ქალაქ გარდაბნის ადმინისტრაციულ საზღვრებსა და ლიცენზიით, ქალაქ რუსთავის წყალმომარაგების სისტემის მეშვეობით განსაზღვრულ არეალში, მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით, განისაზღვროს წყალმომარაგების შემდეგი ზღვრული ტარიფები (ზედა ზღვარი):

ა) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – **0.424** ლარი/$მ^3$, მათ შორის:

ა.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – **0.377** ლარი/$მ^3$;

ა.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – **0.047** ლარი/$მ^3$;

ბ) გაუმრიცხველიანებელი საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი – **2.549** ლარი/სულზე/თვეში, მათ შორის:

ბ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – **2.264** ლარი/სულზე/თვეში;

ბ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – **0.285** ლარი/სულზე/თვეში;

გ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის წყალმომარაგების ზღვრული ტარიფი –**5.508** ლარი/$მ^3$, მათ შორის:

გ.ა) სასმელი წყლის მიწოდების ზღვრული ტარიფი – **4.881** ლარი/$მ^3$;

გ.ბ) წყალარინების ზღვრული ტარიფი – **0.627** ლარი/$მ^3$.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**დავით ნარმანია**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**დავით თვალაბეიშვილი**
კომისიის წევრი	**გივი სანიკიძე**